

მარინა ვოლკოვა

*ასოცირებული პროფესორი, ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტი
დნეპროპეტროვსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ფ.ბ. შელის „ღრუბლის“ და ვ. მისიკის მიერ მისი უკრაინული თარგმანის შედარებითი ანალიზის ზოგიერთი თავისებურება

აბსტრაქტი

სტატია ეძღვნება ფ.ბ. შელის ნაწარმოების „ღრუბელი“ და ვ. მისიკის მიერ მისი უკრაინული თარგმანის სტრუქტურულ, ლექსიკურ და სტილისტურ თავისებურებებს. განხილულია მთარგმნელის მიერ გამოყენებული სპეციფიური მექანიზმი.

საკვანძო სიტყვები: პოეზია, განპიროვნება, განზოგადება, გამოტოვება, დამატება, რითმა, რიტმი.

დღევანდელ დღეს, როდესაც გლობალური ინფორმაციული ბაზა ყალიბდება, თარგმანი ხდება ადამიანთა საქმიანობის დინამიურად განვითარებადი სფერო, როგორც რეაქცია საზოგადოების მთავარ მოთხოვნებზე და საერთაშორისო ურთიერთობებზე სხვადასხვა სფეროში. მთავარი სფერო, სადაც თარგმანის ფუნქცია არა ხელობა არამედ ხელოვნებაა, არის ღირებულებათა აღქმა კულტურათა და ცივილიზაციათა დიალოგის პროცესში.

თარგმანის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მეთოდი არის შედარებითი მეთოდი, რაც გამოყენებულია ამ სტატიაში და რომელიც არის ტექსტის ფორმის და შინაარსის ანალიზი თარგმანში სამიზნე ენაზე და მისი შედარება ორიგინალი ტექსტის ფორმასა და შინაარსთან (წყარო ენა), რაც გვაძლევს საშუალებას გავანალიზოთ თარგმანისთვის დამახასიათებელი სირთულეები, რაც

დაკავშირებულია მოცემული ენების სპეციფიკურობასთან და ორიგინალი ტექსტის იმ ელემენტებთან, რომლებიც არ ითარგმნება სამიზნე ენაზე. ასეთი ანალიზი დაგვეხმარება შევისწავლოთ ორ სხვადასხვა ენაზე დაწერილი ნაწარმოების ყველაზე აშკარა სპეციფიკურობები, ორი ინდივიდის-ავტორის და მთარგმნელის- შემოქმედებითი თავისებურებები, და დაგვეხმარება თვალი მივადევნოთ იმ კანონებს, რომლებიც დომინირებდა ამ ორი ენის მხატვრულ კულტურაში ნაწარმოებების შექმნის დროს, იმისათვის რომ ობიექტურად განვსაზღვროთ ლიტერატურული ტექსტის თარგმანის ხარისხი [4, 262]. ეს მეტყველებს თარგმანის სტრუქტურულ და სემანტიკურ შესაბამისობაზე ორიგინალთან ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ მის ადეკვატურობაზე.

მრავალი ნაშრომია შექმნილი აღნიშნულ მეთოდთან დაკავშირებით უცხოელი და შინა მეცნიერების მიერ. ასეთი გამოჩენილი მეცნიერები არიან: ვ. კომისაროვი, ვ. ვინიგრადოვი, გ. გაჩეჩილაძე, ი. კაშკინი, ვ. კოპტილოვი, ს. ალექსეევი, ი. გუროვა, ე. მასლენიკოვა, ჯ. სკუგერევესკაია, რომლებიც აღნიშნავდნენ თარგმნილი ტექსტის ანალიზის მნიშვნელოვან როლს.

ფ.ბ. შელის პოეზიის სპეციფიკური მახასიათებელია პოეტური ენა, რომელიც გამოირჩევა რეგულარული და ჰარმონიული ხმების მნიშვნელობით. ავტორი მიიჩნევს, რომ პოეზია ამდიდრებს და აძლიერებს ადამიანის გონებას, აძლევს მინიშნებებს სამყაროს ნადვილ სილამაზეზე. ასე, რომ გარემომცველი სამყარო მისთვის ხდება არტისტული ინდივიდუალობის გამოვლენის წყარო.

პოემა „ღრუბელი“ ფ.ბ. შელის ცხოვრების იმ პერიოდს განეკუთვნება, როდესაც მან რეალიზმი ამჯობინა. პოეტის უკანასკნელი წლების ლექსები ბუნებას ეძღვნება. მისი სახეები უფრო ახლოსაა რეალურ ცხოვრებასთან. მის მიერ ბუნების წარმოდგენა კარგავს დიდაქტიკას და არც ისე აბსტრაქტული, უფრო რეალური, მრავალმხრივი, ცოცხალი და ზუსტი ხდება.

ფ.ბ. შელი გვაძლევს ბუნების გამოსახულებას ღრმა ფილოსოფიური და პოლიტიკური გრძნობით. პეიზაჟში არც ბაირონის პირქუში

ტონებია და არც ლაკისტის ტკბილი
სენტიმენტალიზმი.

პოემას აქვს განსაზღვრული
სტრუქტურა, წყვილი და დაუწყვილებელი
სტრიქონები ერთმანეთისგან განსხვავდება.
დაუწყვილებელი სტრიქონები- the trametes-
არის კომბინაცია იამბის და ანაპესტისა.
ამდენად, საზომი იდენტური არ არის
ყველა სტრიქონში, რომლებსაც, თავის
მხრივ, აქვთ განსხვავებული სიგრძე და
ყოველი ექვსი ნაწილში შედგება
განსხვავებული რაოდენობის სტრიქო-
ნებისგან: პირველი და მეექვსე შედგება
თორმეტი, მეორე-თვრამეტი, მესამე, მეოთხე
და მეხუთე- თოთხმეტი სტრიქონისგან.

ჩვენ შევეცდებით გავაანალიზოთ
შედარებითი ანალიზის საშუალებით ფ.ბ.
შელის ორიგინალი ტექსტი და ვ. მისიკის
მისი უკრაინული თარგმანი. ტექსტის
სტრუქტურაში არის გარკვეული
ცვლილებები: დაცულია ნაწილების
რაოდენობა, მაგრამ სტრიქონების
რაოდენობა ოდნავ შეცვლილია. ასე, რომ
ჩვენ გვაქვს თექვსმეტი ხაზი პირველ
ნაწილში, თოთხმეტი მეორე, მესამე მეოთხე
და მეხუთე ნაწილში, თორმეტი მეექვსე
ნაწილში. ასე რომ, სტრიქონების რაოდენობა

ყველა ნაწილში ემთხვევა ორიგინალ
ტექსტს. ჩვენ განვიხილავთ
მარცვლების რაოდენობას
სტრიქონებში: პირველ სტრიქონში
არის ოცი მარცვალი, რვა - მეორეში,
ათი - მესამეში, რვა - მეოთხეში, ათი -
მეხუთეში, რვა - მეექვსეში. ათი -
მეშვიდეში, რვა - მერვეში, თორმეტი -
მეცხრეში, შვიდი - მეათეში, ცხრა -
მეთერთმეტეში, რვა - მეთორმეტეში,
თერთმეტი - მეცამეტეში, რვა -
მეთოთხმეტეში, თერთმეტი -
მეთხუთმეტეში და რვა მარცვალი -
მეთექვსმეტე სტრიქონში.

I bring fresh showers for the thirsting
flowers,
From the seas and the streams;
I bear light shade for the leaves when laid
In their noon-day dreams.
From my wings are shaken the dews that
waken
The sweet buds every one,
When rocked to rest on their mother's breast,
As she dances about the Sun.
I wield the flail of the lashing hail,
And whiten the green plains under,
And then again I dissolve it in rain,
And laugh as I pass in thunder.

Я свіжі краплини на гори й долини
Несу з морів, з океану;
В годину жарку я квітці й листку
Дарую тінь пожадану.
Росинка мала з-під мого крила
Розбуркує брость на вітті,
Що й неньці-Землі не приспать її,
Танцюючи на орбіті.
Ударами граду долину й леваду
Вибілю - і потому
Знов сиплю дощ на болото й трощ
І тішусь гуркотом грому.
Я снігом сіюсь, я вихором віюсь
На горді бескиди й скелі,
І сплю дорану в обіймах бурану
На білій пухкій постелі.

თარგმანში რიტმი დაცულია.

თხრობა ხდება მხოლოდ პირველი პირის მიერ. პირველი და მეორე ნაწილის სტრუქტურული ხარვეზების გარდა, ზოგადი თარგმანის გარეგნობა ძალიან ახლოსაა ორიგინალი ტექსტის სტრუქტურასთან. რაც შეეხება ლექსიკას, სიტუაციაა გაცილებით რთულია. შეუსაბამობები იწყება ორიგინალი ტექსტის მეორე ხაზიდან:

«from the seas and the streams» გადაითარგმნა, როგორც «з морів, з океану». ამ სტრიქონის თარგმნისას «for the leaves» მთარგმნელმა

გამოიყენა კონკრეტიზაცია: «квітці й листку». «Noon-day dreams» გადაითარგმნა, როგორც «в годину жарку», ასე რომ, ავტორი იყენებს სიტყვას, რომელიც მთარგმნელის მიერ არის გამოტოვებული. ფ.ბ. შელი აკეთებს აქცენტს, რომ ღრუბელმა შექმნა კომფორტული ატმოსფერო ყავის სმისას.

მოგვიანებით, ამ სტრიქონში- «As she dances about the Sun» მთარგმნელმა არ აღნიშნა მზე, მაგრამ დედამიწას მოიაზრებს როგორც მთელი სისტემის ნაწილს: «танцюючи на орбіті». მოცემულ სტრიქონში, «whiten the green plains under», არის ორი შეუსაბამობა: პირველი, მთარგმნელი უგულვე-ბელყოფს ფერის აღმნიშვნელ ზედსართავს - მწვანე- რომელიც გამოხატავს სიცოცხლის განახლებას, გაზაფხულს, ახალგაზრდობას და იმედს საუკეთესო მომავლისა. როგორ ვხედავთ, ამ სპეციფიკურობას აქვს გადამწყვეტი კავშირი მკითხველის მიერ ზოგადი სურათის აღქმასთან. მეორე, განზოგადებული «plains» დაკონკრეტების წყალობით

ითარგმნა, როგორც «долину й леваду». მომდევნო ოთხი სტრიქონი ორიგინალ ტექსტში ეკუთვნის სხვა ნაწილს. მთარგმნელის ასეთი გადაწყვეტილება გაუგებარია.

I sift the snow on the mountains below,
And their great pines groan aghast;
And all the night 'tis my pillow white,
While I sleep in the arms of the blast.
Sublime on the towers of my skiey bowers,
Lightning my pilot sits;
In a cavern under is fettered the thunder,
It struggles and howls at fits;
Over Earth and Ocean, with gentle motion,
This pilot is guiding me,
Lured by the love of the genii that move
In the depths of the purple sea;
Over the rills, and the crags, and the hills,
Over the lakes and the plains,
Wherever he dream, under mountain or
stream,
The Spirit he loves remains;
And I all the while bask in Heaven's blue
smile,
Whilst he is dissolving in rains.

Моя провідниця - ясна блискавиця -
На башті в мене чатує,
Тим часом як грім у трюмі моїм,
Прикутий до дна, лементує.

Над морем, землею пливу я за нею,
Над сивий глиб океану.
Де духи стихій усміхаються їй
І кличуть до себе кохану.
Вона ж - мов не чує - і далі кочує
Над ріки, озера й гаї
В невтомнім шуканні, в незгаснім коханні
До того, з ким серце її,-
І бачу я, сонна, з небесного лона,
Як ллє вона сльози свої.

არ არის განსაზღვრული წესრიგი ლექსის მომდევნო ნაწილის თარგმანში: «their great pines groan aghast». მაგრამ მთარგმნელი იყენებს დამატებას «я вихором віюсь». შემდგომ მთარგმნელი კონკრეტიზაციით «on the mountains below»-ს ცვლის «на горді бескиди й скелі»-ით, ხაზს უსვამს სიტყვას «горді».

«All the night»-ს ვ. მისიკი გარდაქმნის «I сплю дорану» რაც არ ცვლის აზრს, მაგრამ მნიშვნელოვანია რითმული სისტემისთვის. სტრიქონი -«'tis my pillow white» ხდება გარკვეული დამოწმება წინა ტექსტისა და გვაწვდის თოვლიანი მთების გაგებას, როგორც ლოგინი,

მაგრამ იმავე სტრიქონში «На білій пухкій постелі» თარგმანს არ გააჩნია პირდაპირი მითითება და კონტექსტის გარეშე ის შეიძლება სხვაგვარად იქნეს გაგებული. რითმის შენარჩუნების მიზნით, მთარგმნელი ცვლის მომდევნო სტრიქონების წყობას. ვ.მისიკი თარგმნის გამონათქვამს «struggles and howls», როგორც «лементує» -ი განზოგადების მეშვეობით.

ორიგინალ ტექსტში ჩვენ გვაქვს «in the depths of the purple sea», მაშინ როდესაც თარგმანში ის არის «над сивий глиб океану». ინგლისურ ვერსიაში, იისფერი გამოიყენება, როგორც ჰარმონიის, ენერჯის და ჭეშმარიტების სიმბოლო. უკრაინულ ვარიანტში მოყვანილია ნაცრისფერი, რასაც საერთო არაფერი აქვს იისფერთან. ზოგადად ეს მართლაც ასეა, მაგრამ მოცემულ კონტექსტში ის ეხმარება მკითხველს, წარმოიდგინოს თვალწარმტაცი ლანდშაფტი. ამ და წინა წინადადებებში მთარგმნელი ადგილებს უცვლის ზღვას და ოკეანეს.

ზოგადად, მოცემულ ციტატაში ინგლისური ვარიანტი შევსებულია სიტყვებით «skiey bowers», «pilot» და «cavern». თავის მხრივ, უკრაინული ვარიანტი მოიცავს ცნებებს, რომლებიც წყალთან უფრო მეტადაა დაკავშირებული:

«трюм», «пливу». «Over the rills, and the crags, and the hills, over the lakes and the plains»

ვ. მისიკი გარდაქმნის ბოლო ორ სტრიქონს, ცალკეული სიტყვების შეცვლით, მაგრამ არ ანგრევს სილამაზის და სიყვარულის ატმოსფეროს. ხანდახან ის ივიწყებს შელის განპიროვნებას: «in Heaven's blue smile». ავტორის ზეცა ილიმის თითქოს ის ცოცხალია, მისი ღიმილი მომახიბვლელია, მაშინ როდესაც თარგმანში მხოლოდ «з небесного лона»-ია. ემოციური კუთხით, ის არ იძლევა საკმარის ეფექტს მაგრად აზრობრივად ახლოსაა ტექსტთან.

The sanguine Sunrise, with his meteor eyes,
And his burning plumes outspread,
Leaps on the back of my sailing rack,
When the morning star shines dead;
As on the jag of a mountain crag,
Which an earthquake rocks and swings,
An eagle alit one moment may sit
In the light of its golden wings.
And when Sunset may breathe, from the lit
Sea beneath,
Its ardours of rest and of love,
And the crimson pall of eve may fall
From the depth of Heaven above,
With wings folded I rest, on mine aery nest,
As still as a brooding dove.

Криваво зайнявшись, огненно
розп'явшись,
Світанок мене кульбачить,
І рясно іскриться, де рання зірниця,
Вже мертва, ледве маячить.
Так цар птахів на один із верхів
Вулканного високогір'я
Злітає на мить - і злотом горить
Його карбоване пір'я.
Там вечір настане - і в море багряне
Пролле спочинку олій,
І небо напне на обличчя земне
Малиновий присмерк свій,
І сплю я тоді, як голубка в гнізді,
В безмежності золотій.

პირველ სტრიქონში მთარგმნელი
ყურადღებას ამახვილებს ფერებზე, მაგრამ
ტოვებს ელემენტებს

«his meteor eyes» და «plumes» ის
უგულვებელყოფს განპიროვნებასაც.

სტრიქონში: «An eagle alit one moment may sit»
ის აკეთებს პერიფრაზს არწივის
წარმოდგენისთვის, როგორც «царя птахів».
შემდგომ ვ.მისიკი უგულვებელყოფს «rocks
and swings» და ცვლის მოძრაობის
აღნიშვნელ მიწისძვრას «вулканне
високогір'я»-თი.

«Ardours of rest and of love» ის
თარგმნის როგორც «пролле спочинку олій»,

გამოტოვებს «of love» და ცვლის
«ardours»-ს «олію»-ით. ამ სიტყვის
თარგმანი «Heaven», არის რაღაც რაც
კავშირშია ღმერთთან , სამოთხე
თარგმანში არის მხოლოდ «неби».
მაგრამ მოცემულ შემთხვევაში მას
ანაზღაურებს მესამე ნაწილის
დასასრული «В безмежності золотій».
აქ აისახება ღმერთი, ნეტარება და
სამოთხის დიდებულება.
მთარგმნელი ყურადღებით იყენებს
განპიროვნებას, რაც ასე არ არის
ორიგინალ ტექსტში. მაგალითად,
მოცემულ ციტატაში «Sunrise»,
«Sunset», «Sea» არის აღნიშნული,
ჩანს, რომ ავტორი მათ სახელებით
მოიხსენიებს. თარგმანში კი ისინი
უფრო მეტად ბუნებრივი ფენომენის
სახით არიან წარმოდგენილი..

That orb'd maiden with white fire laden
Whom mortals call the Moon,
Glides glimmering o'er my fleece-like floor
By the midnight breezes strewn;
And wherever the beat of her unseen feet,
Which only the angels hear,
May have broken the woof, of my tent's thin
roof,
The stars peep behind her, and peer;

And I laugh to see them whirl and flee,
Like a swarm of golden bees,
When I widen the rent in my wind-built tent,
Till the calm rivers, lakes, and seas,
Like strips of the sky fallen through me on
high,
Are each paved with the moon and these.

Та діва білява, та лагідна пава,
Що смертний місяцем зве,
У ночі безмовні в легкій моїй вовні
Так легко й рівно пливе.
Коли ж під ходою, лиш духам чутною,
Намет розірветься мій,
Загляне в ту дірку, немов у кватирку,
Зірок зацікавлених рій.
І тішить мене їх мелькання дрібно
В замісячному прозорі -
І я не стуляюсь, і вниз видивляюсь,
Де плеса земні просторі,
Мов краплі блакиті, крізь мене пролітї,
Одсвічують місяць і зорі.

პირველ სტრიქონში არის უზუსტობა: მთარგმნელი წარმოგვიდგენს სიტყვებს «та лагідна пава». ფარშევანგი არის მიმზიდველობის სიმბოლო. ამიტომ ის წარმოსახავს მზეს, როგორც მშვენიერ ფაქიზ გოგოს, ამატებს რა რამოდენიმე მახასიათებელს.

მოცემულ ციტატაში «by the midnight breezes strewn» ავტორი გვიჩვენებს ბუნების

ძალების კოორდინაციას. მთარგმნელი, თავის მხრივ, ხაზს უსვამს პროცესის დამოუკიდებლობას. სიტყვა “angels” თარგმანში შეიცვალა სიტყვა «дух»-ით. ზოგადად, ბიბლიის მიხედვით, ანგელოზები არიან სულები, რომლებიც გამოხატავენ ღმერთის ნებას, გააჩნიათ დამატებითი უფლებამოსილებები. მაგრამ სული ბიბლიაში არის შემოქმედებითი ძალა, რომელიც ანიჭებს სიცოცხლეს, ღმერთის გავლენას. ამიტომაც ანგელოზები უფრო მნიშვნელოვანი სამყაროში.

In the extract «Загляне в ту дірку, немов у кватирку» the translator introduces a new simile. Later on, W.Mysyk omits the simile «Like a swarm of golden bees» at all. Instead of this, the translator uses a metaphor to serve aesthetic function in the text.

გამონათქვამი «Like strips of the sky» ითარგმნა, როგორც «Мов краплі блакиті» — ინგლისური სიტყვა «strips» უფრო ფართოა, ვიდრე «краплі» მაგრამ ამ სიტყვის დახმარებით ვ. მისიკი წარმოსახავს წყლის ელემენტს, რომელსაც

აძლიერებს სიტყვა «проліті» და ცა
პერიფრაზის დახმარებით, აღინიშნება
სიტყვით «блакить».

I bind the Sun's throne with a burning zone
And the Moon's with a girdle of pearl;
The volcanos are dim and the stars reel and
swim
When the whirlwinds my banner unfurl.
From cape to cape, with a bridge-like shape,
Over a torrent sea,
Sunbeam-proof, I hang like a roof --
The mountains its columns be!
The triumphal arch, through which I march
With hurricane, fire, and snow,
When the Powers of the Air, are chained to
my chair,
Is the million-coloured Bow;
The sphere-fire above its soft colours wove
While the moist Earth was laughing below.
Я сонцю даю оправу свою,
І місяць пишається нею.
Згасає вулкан, коли ураган
Розгорне мою кирею.
Я пнусь, як місток, над широм заток,
Де хвиль не стихає спір;
На горах-стовпах я висну, як дах,
Затьмаривши безліч зір.
У бурі й вогні пролягає мені
Вперед звитяжна дорога -

І стріне мій стяг, розвитий в боях,
Веселки арка розлога.
І барви небес грайливістю плес
Відіб'є земля волога.

პირველ სტრიქონში
მთარგმნელი ტოვებს სიტყვას
«throne», მეორე სტრიქონში მთლიან
გამონათქვამს «a girdle of pearl»-ი.
ორივე მათგანი სიმდიდრის
სიმბოლოა, მარგალიტის სარტყელი
კი, ასევე, მთვარის სიმბოლოცაა.
მოცემულ სტრიქონში ვ.მისიკი
უგულვებელყოფს «the stars reel and
swim».

გამონათქვამი «Sunbeam-
proof»-ი თარგმანში უნდა იყოს
«захист від сонячних променів»-ი,
მთარგმნელის ვარიანტში არის
«затьмаривши безліч зір»-ი. ასე რომ,
ვ.მისიკი იყენებს პერიფრაზებს. ის
ასევე განზრახ ტოვებს სიტყვას
«snow», თარგმნის «With hurricane, fire,
and snow»-ს, როგორც «у бурі й вогні».
მოცემულ ფრაზაში ავტორი იყენებს
ჰიპერბოლას («the million-coloured
Bow»), სადაც ავტორი არ იყენებს ამ
სტილისტურ მექანიზმს («Веселки
арка розлога»).

მეთერთმეტე სტრიქონი სრულად არის შეცვლილი თარგმანში, მაგრამ მთარგმნელმა მოახერხა ატმოსფეროს აღწერა უფრო მარტივი სიტყვებით. ასე რომ, წინადადებას «When the Powers of the Air, are chained to my chair» ვ. მისსიკი თარგმნის, როგორც «пролягає мені вперед звитяжна дорога».

I am the daughter of Earth and Water,
And the nursling of the Sky;
I pass through the pores, of the ocean and shores;
I change, but I cannot die --
For after the rain, when with never a stain
The pavilion of Heaven is bare,
And the winds and sunbeams, with their convex gleams,
Build up the blue dome of Air --
I silently laugh at my own cenotaph
And out of the caverns of rain,
Like a child from the womb, live a ghost from the tomb,
I arise, and unbuild it again.

Мій батьківський клан - Земля й Океан,
Зву домом я синь небесну;
Я в ґрунті таюсь, я завжди мінююсь,
Але ніколи не щезну.
Бо навіть тоді, як минуться дощі,
І сонце з промінних рей
Для мене напне склепіння міцне -

Небесний мій мавзолей,
Я тільки всміхнусь, і знову зведусь,
З підземних водяних жил,
Як дух, як дитя зі свого сповиття,-
І знов підкорю небосхил.

უკანასკნელ ნაწილში მთარგმნელი ქალიშვილის ადგილას მშობლების ჩანაცვლებით ცვლის წინადადებას «Мій батьківський клан» კვლავ იცავს განპიროვნებას, მოიხსენიებს «Землю» და «Океан» -ს სახელებით. მაგრამ ის ანზოგადებს «Water»-ს რაც ხდება «Океан». შემდგომ წინადადებაში ის უგულვებელყოფს ამ სიტყვას და მთელი ფრაზა «the pores, of the ocean and shores»-ი. მოგვიანებით, მთარგმნელი იყენებს ეფემიზმს «щезати»-ს ორიგინალის ნაცვლად - «die». ასე რომ, მოცემული ნაწილის სტრიქონში «The pavilion of Heaven is bare» დარჩენილია განსაკუთრებული ყურადღების გარეშე. ეს სტრიქონი - «And the winds and sunbeams, with their convex gleams» თარგმნილია, როგორც «І сонце з промінних рей» სიტყვა «the winds» გამოტოვებულ იქნა მთარგმნელის მიერ.

უკანსასკნელი ნაწილი ყველაზე
რთულია გასაანა-ლიზებლად, რადგან
მთარგმნელი დიდწილად ცვლის
სტრუქტურას და სიტყვების წყობას.

დასკვნაში ჩვენ გვინდა
წარმოგიდგინოთ მოცემული ანალიზის
შედეგები. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს,
რომ მთარგმნელი ცდილობს არ შეცვალოს
ლექსის სტრუქტურა, რითმული სისტემა. ის
ყურადღებას ამახვილებს ფერის მეშვეობით
გამოხატულ სპეციფიკ-კურობებზე და მხარს
უჭერს ფერთა სიმბოლიზმს. ძალიან ხშირად
მისიკი ცვლის წინადადებების რიგს
იმისათვის, რომ დაიცვას პოეტური ფორმა.
ის იყენებს სხვადასხვა მეთოდს

ლიტერატურული ტექსტის
თარგმანისა იმისათვის, რომ შექმნას
ტექსტის უკრაინული ვარიანტი ამ
ენის წესების და სტილის მიხედვით.
მთარგმნელი იყენებს სხვადასხვა
სტილისტურ მექანიზმს, ისე
პროფესიონალურად როგორც ფ.ბ.
შელი აღწერს მშვენიერ
ლანდშაფტებს. განპიროვნება
გამოიყენება ყველაზე ხშირად ორივე
როგორც ორიგინალ ისე ნათარგმნ
ენაზე.

References:

1. თაითლერი ა.ფ. Essay on the principles of translation. Edinburgh: Cadell, 1997. – 252 p.
2. გალმა ო.რ. Дипломатія і професія викладача: від минулого до сучасного [електронний ресурс] доступно з: http://www.confcontact.com/2012_03_15/gl3_galena.php
3. კომისაროვი ვ.ბ. Общая теория перевода (Проблемы переводоведения в освещении зарубежных ученых) [Текст] // М.: ЧеРо, 2000. – 134 с.
4. ლანოვიკი მ. Перекладознавчі проблеми компаративістики крізь призму літературознавчих теорій // Літературознавча компаративістика. – Тернопіль: Ранок, 2002. – С. 256 – 271.